დამტკიცებულია :

წარმომადგენლობითი საბჭოს
2024 წლის 29 დეკემბრის N53 დადგენილებით

პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. წინამდებარე მეთოდოლოგია არეგულირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში ,, უნივერსიტეტი") პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევების ჩატარებას;
2. მეთოდოლოგია მიზანია უნივერსიტეტმა განახორციელოს პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებზე შიდა და გარე კვლევები, რათა მან შეძლოს არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება/ანალიზი, არსებული ხარვეზის გამოსწორებისთვის და შემდგომი საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვისთვის;
3. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე მეთოდოლოგიით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდების, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედი დებულებით/მექანიზმებით, უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს/ორგანოებისა და უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. კვლევის მეთოდები და ამოცანები

1. უნივერსიტეტი პროფესიული განათლების მიმართულებით შეიმუშავებს კვლევის სხვადასხვა მეთოდს (რაოდენობრივი, თვისებრივი, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოკვლევის მეთოდი), რომელიც იძლევა პროცესის სიჯანსაღის სხვადასხვა კუთხით გაანალიზების საშუალებას;
2. პროფესიული განათლების მიმართულებით უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობის შეფასება და მისი განვითარება ხორციელდება ობიექტური კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზის – შიდა და გარე საჭიროებების დადგენის საფუძველზე.
3. უნივერსიტეტის შიდა საჭიროებების დადგენის დროს კვლევის სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მოწვეული მასწავლებელი/ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო გარე

საჭიროებების დადგენის დროს- დამსაქმებელი, პროფესიული ასოციაციები, შრომის ბაზარი და სხვა.

4. კვლევებით დგინდება შრომის ბაზრის მოთხოვნა, დამსაქმებლის კმაყოფილება, პროფესიული სტუდენტის, პერსონალის, კურსდამთავრებულის კმაყოფილება, ამასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში ,,პროგრამა"), სასწავლო პროცესთან განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.
5. რაოდენობრივი კვლევები ხორციელდება ელექტრონულად Google form-ის პლატფორმის გამოყენებით, კვლევების ჩატარებისა და შედეგების შეჯამების შემდეგ პარარელურად შესაძლებელია საჭირო გახდეს მიღებული შედეგების დამატებით დაზუსტება, რისთვისაც გამოიყენება თვისებრივი კვლევა.
6. რაოდენობრივი კვლევით შესაძლებელია დადგინდეს:

ა) **პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა.** კერძოდ: სტუდენტური სერვისების, სასწავლო პროცესის, ინფრასტრუქტურის და ა.შ. კმაყოფილება პროფესიული სტუდენტის მხრიდან.

ბ) **პროფესიული განათლების მასწავლებლების კმაყოფილების კვლევა**. კერძოდ: ინფრასტრუქტურის, სერვისების, სამუშაო პირობების , მხარდამჭერის სერვისების და ა.შ. კმაყოფილება მოწვეული პერსონალის მხრიდან;

გ) **ინსტრუქტორის მიერ დუალური სწავლების შეფასება.** აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს თუ რამდენად იცნობს ინსტრუქტორი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, მისაღწევ შედეგებს, სწავლებასა და შეფასების მეთოდებს.

დ) პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს პროფესიული განათლების მოწვეული მასწავლებელის/ინსტრუქტორის აკადემიური საქმიანობა. კვლევის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი აფასებს მოდულს, მის მოცულობას, სწავლის შედეგების მიზნობრიობას, შეფასების ფორმებს და მეთოდებს, სწავლების მეთოდებს, პრაქტიკულ კომპონენტს, მასწავლებლის კომპეტენციას, სასწავლო რესურსებს (მასალები, ლიტერატურა) და ა.შ.

ე) პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება. ეს კვლევა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაიხვეწოს მოდულებში დამხმარე ჩანაწერები, მათ შორის განახლდეს სასწავლო რესურსი, სასწავლო გეგმა, საჭიროების შემთხვევაში აღმოიფხვრას ხარვეზები სასწავლო პროცესის მატერიალური რესურსებით დროულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ვ) **პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის შეფასება.** ეს გამოკითხვა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ პროგრამების შეფასებისა და განვითარებისთვის, რომლებიც ხორციელდება დუალური და კოოპერაციული მიდგომით პარტნიორ ორგანიზაციაში. პროფესიული სტუდენტები აფასებენ სასწავლო და სამუშაო გარემოს, პირობებს, ინსტრუქტორის კომპეტენციას და ა.შ.

ზ) **კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის შეფასება და კმაყოფილების კვლევა.** ეს არის ინსტრუმენტი შეფასდეს როგორც პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევა, ასევე პროგრამაზე სწავლების პერიოდის კმაყოფილება. კურსდამთავრებული აფასებს პროგრამის მიზნებს, სასწავლო გეგმას და სწავლის შედეგებს. თუ როგორი კმაყოფილი არიან მიღებული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები.

ი) **დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასება.** ეს კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამების განვითარებისთვის. კვლევის შედეგების შეფასების შედეგად შესაძლებელია პროგრამაში ცვლილებების განხორციელება. შესაძლებელია თვისებრივი კვლევის ჩატარება (ეფექტურობის გათვალისწინებით)

კ) **ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა.** კერძოდ: ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან უნივერსიტეტის მართვის პროცესებით კმაყოფილება, მაგალითად როგორიცაა: მართვის სტილი, შრომის ანაზღაურება, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინფრასტრუქტურა, მხარდამჭერი სერვისები, სასწავლო პროცესი და სხვა.

7. **თვისებრივი კვლევები** ხორციელდება ინდივიდუალური ინტერვიურებისა და ჯგუფური დისკუსიის (ფოკუს ჯგუფი) გზით. ფოკუს ჯგუფი შესაძლოა იყოს მაქსიმუმ 8-10 პირისგან შემდგარი. ჯგუფური დისკუსიის ან/და ინდივიდუალური ინტერვიურების თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ვინ იქნება სამიზნე ჯგუფი და რამდენი ჯგუფური დისკუსია გაიმართება. გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული განათლების დეპარტამენტთან თანამშრომლობით. მტკიცებულებად წარმოდგენილი შეიძლება იყოს ფოტო ან/და აუდიო მასალა ან/და დასწრების ფურცელი.

8. **პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების კვლევა** ორიენტირებულია პროგრამებზე სასწავლო პროცესის განხორციელების ვალიდურ შეფასებაზე. კერძოდ, პერიოდულად ან/და საჭიროებისამებრ,

რისკის გათვალისწინებით (ახალი დანერგილი პროფესიული პროგრამა, ახალი პერსონალი, ახალი მიღების ჯგუფი და ა.შ.) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტთან თანამშრომლობით გადაამოწმებს:

ა) პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალს;

ბ) პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (უწყისების) აღრიცხვის ჟურნალს;

გ) სასწავლო ცხრილს;

დ) სასწავლო გარემოს და რესურსების შეფასება საკონტაქტო საათებზე მონიოტრინგის გზით.

9. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უტყუარი ინფორმაცია:

ა) პროფესიული სტუდენტების ინტერესზე ცალკეული პროგრამის მიმართ;
ბ) კონკრეტული პროგრამის სირთულის ხარისხზე;
გ) პროფესიული სტუდენტის მომზადების დონეზე;
დ) პროფესიული განათლების მასწავლებლის ან ინსტრუქტორის მომზადების დონეზე/კვალიფიკაციაზე/კომპეტენციაზე/პიროვნულ თვისებებზე;
ე) შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობაზე;
ვ) სასწავლო მასალების (მატერიალური, საბიბლიოთეკო) საკმარისობაზე;
ზ) სასწავლო ცხრილების შესაბამისობაზე სასწავლო გეგმასთან;
თ) სასწავლო გარემოს შესაბამისობაზე;
ი) მოდულის ზედმეტ სიმარტივესა ან სირთულეზე და ა.შ.

10. სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული პროცესის ვერიფიკაცია (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან) და პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამისი წესებით;

მუხლი 3. კვლევების განხორციელების პროცედურა და პერიოდულობა

1. ნებისმიერი სახის კვლევებს უნივერსიტეტში ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან (პროფესიული განათლების დეპარტამენტი, სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევების ცენტრი და ა.შ.) მჭიდრო კომუნიკაციით;
2. საჭიროების შემთხვევაში კვლევების ჩატარების მიზნით (შრომის ბაზრის კვლევა) შესაძლებელია მოხდეს უნივერსიტეტის მიერ სხვა ორგანიზაციის ან პირების დაქირავება (მკვლევარი/კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია).
3. ელექტრონული გზით ჩასატარებელი კვლევის ინსტრუმენტები/კითხვარები მტკიცდება უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ და ის შესაძლებელია ექვემდებარებოდეს მოდიფიცირებას კვლევის ყოველი ეტაპის დაწყების წინ (კითხვის ფორმურილების დახვეწა, დამატება, ამოღება და ა.შ.).
4. ფოკუს ჯგუფის ან ინტერვიურების შემთხვევაში კვლევის ინსტრუმეტი/ძირითადი კითხვები დგინდება თითოეული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად. დასტურდება აუდიოჩანაწერით ან/და დასწრების ფურცლებით.
5. კვლევის პერიოდულობა განისაზღვრება თითოეული ამოცანისთვის ინდივიდუალურად. კერძოდ:

   ა) პროფესიული სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ;

   ბ) პერსონალის (პედაგოგიური და ადმინისტრაციული) კმაყოფილების კვლევა წელიწადში ერთხელ;

   გ) პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ;

   დ) კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის შეფასება ორ წელიწადში ერთხელ;

   ე) დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასება ორ წელიწადში ერთხელ;

   ვ) პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება პროგრამის განხორციელების პერიოდში მინიმუმ ერთხელ.

   ზ) ფოკუს ჯგუფი ან ინდივიდუალური ინტერვიურება, ასევე მტკიცებულებების კვლევა შესაძლებელია ჩატარდეს საჭიროებისამებრ;

6. კვლევის სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პერიოდულობისაგან განსხვავებული სიხშირით საჭიროებიდან გამომდინარე;
7. ელექტრონული გამოკითხვების, ჯგუფური ან/და ინდივიდუალური ინტერვიურების, ამასთან მტკიცებულებების გადამოწმების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება ხორციელდება კვლევების დასრულებიდან 2 თვის ვადაში ან/და საჭიროებისამებრ.
8. ელექტრონული გზით ჩატარებული კვლევები ვალიდურად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ გამოკითხვაში მონაწილეობას იღებს რესპოდენტების არანაკლებ 51%-ისა.

9. კვლევების შედეგების ანალიზის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია კვლევების განმახორციელებელი, რომელიც შესაძლოა იყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან დაქირავებული პირი ან ორგანიზაცია;
10. კვლევების შედეგების ანალიზის შედეგად ანგარიშის მომზადებასა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდრო კომუნიკაციაშია პროფესიული განათლების დეპარტამენტთან.
11. კვლევის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირი/ორგანო ახორციელებს რეაგირებას, რომელიც შესაძლოა იყოს ხარვეზების გამოსწორების შესახებ დამატებითი დავალებების გაცემა ან შესაბამისი გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა;
12. კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი საქმიანობის სწორად დასაგეგმად (პროგრამების დამატება/მოდიფიცირება და ა.შ.);
13. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე რეაგირებას გაეცნობიან კვლევაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები/რესპოდენტები, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას მიიღონ გამოკითხვაში მონაწილეობა და იყონ გახსნილები.

მუხლი 4. კვლევის ეთიკური პრინციპები

1. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი კვლევა უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, პატივს სცემდეს კვლევის მონაწილეთა (რესპონდენტთა) უფლებებს, ღირსებასა და კეთილდღეობას.

2. კვლევის განმახორციელებელი პირი/სტრუქტურა ვალდებულია, იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

- ✓ კვლევის დაწყებამდე მონაწილეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კვლევის მიზნების, პროცედურების, მონაცემთა გამოყენებისა და შესაძლო შედეგების შესახებ.
- ✓ კვლევაში მონაწილეობა არის სრულად ნებაყოფლობითი. დაუშვებელია რესპონდენტზე ნებისმიერი სახის ზეწოლა ან იძულება.
- ✓ მონაწილეს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეწყვიტოს კვლევაში მონაწილეობა ან უარი თქვას კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემაზე. ამ გადაწყვეტილებას არ უნდა მოჰყვეს რაიმე სახის უარყოფითი შედეგი რესპონდენტისთვის (მაგალითად, გავლენა სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე ან პერსონალის სამსახურებრივ მდგომარეობაზე)
- ✓ ელექტრონული გამოკითხვების ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაწილეთა სრული ანონიმურობა, რაც გულისხმობს, რომ პასუხების დაკავშირება კონკრეტულ პიროვნებასთან ტექნიკურად შეუძლებელია.

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ კვლევის ფორმატი (მაგ. ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი) მოითხოვს რესპონდენტის იდენტიფიცირებას, კვლევის განმახორციელებელი ვალდებულია, დაიცვას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მონაცემების ანალიზი და შედეგების გამოქვეყნება უნდა მოხდეს მხოლოდ განზოგადებული, შემაჯამებელი სახით, რომელიც გამორიცხავს ცალკეული რესპონდენტის იდენტიფიცირებას.
- ✓ კვლევის შედეგად შეგროვებული პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს და შეინახოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპების სრული დაცვით.
- ✓ მონაცემებზე წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ კვლევის განხორციელებაზე პასუხისმგებელ, უფლებამოსილ პირებს.
- ✓ კვლევის შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და ანგარიშგება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი და თავისუფალი ნებისმიერი პირადი თუ ინსტიტუციური ინტერესებისგან.

მუხლი 5. **ცვლილებები და დამატებები**

1. პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია ძალაშია დამტკიცებისთანავე;
2. წინამდებარე მეთოდოლოგია ძალას კარგავს უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ახალი მექანიზმის დამტკიცებისთანავე.

დანართები.

დანართი №1. პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა.

დანართი №2. პროფესიული განათლების მასწავლებლის კმაყოფილების კვლევა.

დანართი №3. ინსტრუქტორის მიერ დუალური სწავლების შეფასება.

დანართი №4. პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება.

დანართი №5. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება.

დანართი №6. პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის შეფასება.

დანართი №7. კურსდამთავრებულის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კმაყოფილების კვლევა.

დანართი №8. დამსაქმებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

დანართი №9. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა.